



იმისთანა წმინდა საცმეში, ბოგბოღი ბუქ-
უბი სიფყავა, ცუდილებით და ჭბრებით ბუბ-
თის გაფანა ყულა უჯარბისთბაჩუ უსაბაგლსია.

გაიქმინა 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

პარასკევი, 29 მარტი. 2019 წ. №62 (8728)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 60 თეთრი

დაკარგული წლები და უსამართლოდ ჩაქოლილი მეცნიერება

ჩვენი ისტორია ვერ წარ-
მოგვიდგენს იმისთანა შემ-
თხვევას, რომ ქართველე-
ბი დამარცხებულიყვნენ და
მიზეზი ღალატი არ ყო-
ფილიყოს! ვინ იყვნენ ეს
მოღალატეები? ქართველის-
ვე შვილები!..

აკაკი წერეთელი,
შავი ფიქრები,
ტომი V, გვ. 121



31 მარტს ზვიად გამსახურდიას 80 წლის იუბილუ ღირსულად აღინიშნება




საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 31 მარტს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით სსკვალსსვა ლონისიძეა იგაბგაბა:

საქართველოს ფოსტა ზვიად გამსახურდიას იუბილესთან დაკავშირებით გამოსცემს მისი სახელობის მარკას; განათლების სამინისტრო შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდთან ერთად ქართველოლოგიის განვითარებისთვის უცხოეთში მოღვაწე მეცნიერებისთვის დაანებს ზვიად გამსახურდიას სახელობის პრემიას, რომელიც გაიცემა ყოველწლიურად 31 მარტს; ეროვნულ ბიბლიოთეკაში მოენწყობა გამოფენა, რომელზედაც წარმოდგენილი იქნება მისი ნაშრომები, ინტერვიუები, ფოტოები და წიგნები; რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ზუგდიდში ააშენებს ახალ ბიბლიოთეკას, რომელსაც მიენიჭება საქართველოს პირველი პრეზიდენტის სახელი, საქართველოს ყველა რეგიონში გაიმართება ზვიად გამსახურდიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.


ინტელექტის
ოპოზიცია

7 აქა ამბავი სისრუისა და ბიბა კობალაძის შიშებისა! საავტორო უფლებების შესახებ ბევრმა არაფერი იცის!



6 უკრტუდან დღევანდლად შუასუქუნების ბავლით: ისტორიულ კვლავათა აღმასვლის საფესურები

90 სესხლოვანი ბულის 10 კავკასიელი



27 მარტს აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის სა-
გარეო ურთიერთობათა კომიტეტზე გაიმართა აშშ-
ის სახელმწიფო მდივნის მაიკლ პომპეოს მოსმენა სა-
კითხზე: „აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის საგარ-
ეო პოლიტიკის სტრატეგია და 2020 ფისკალური
წლის ბიუჯეტი.“

მოსმენისას განსაკუთრებული ყურადღება გამახ-
ვილდა რუსეთიდან, ირანიდან, ჩრდილოეთ კორეი-
დან, ჩინეთიდან ასევე ახლო აღმოსავლეთიდან, მათ
შორის სირიიდან მომდინარე საფრთხეებთან გასამ-
კლავებლად აშშ-ის საგარეო პოლიტიკურ სტრატე-
გიაზე.

მოსმენისას კონგრესმენმა სტივ ჩაბომ (რესპუბ-
ლიკელი, ოჰაიოს შტატი) ყურადღება გაამახვილა უკ-
რაინისა და საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე
რუსეთის აგრესიაზე და საზოგადოებას აშშ-ის მხრი-
დან საქართველოსა და უკრაინისადმი მხარდაჭერის
კიდევ უფრო გაძლიერების მნიშვნელობას.

„საქართველო და უკრაინა ორივე პუტინის მხრი-
დან ინტენსიური და მუდმივი ზეწოლის წინაშე არი-
ან. ორივე ამ ქვეყნის ტერიტორია უკანონოდ არის რუ-
სეთის კონტროლის ქვეშ. ამ რისკების მიუხედავად სა-
ქართველო და უკრაინა და ასევე აღმოსავლეთ ევროპის
მრავალი ქვეყანა აქტიურად ახორციელებს პროდასავ-
ლურ პოლიტიკას. თუ შეიძლება გვითხარით, თუ რო-

მაიკ პომპეო: ჩვენ ვზად ვართ, დავენებაროთ ქართველ ხალხს!



გორ აძლიერებს პრეზიდენტის ბიუჯეტი ჩვენი ამ უმ-
ნიშვნელოვანესი პარტნიორებისადმი მხარდაჭერას?“ –
აღნიშნა კონგრესმენმა.

„როგორც ნახეთ, ორი სახის რეალური გზით გა-
ვუწიეთ უკრაინას ხელშესახები დახმარება. ჩვენ უკ-
რაინელ ხალხს მივანოდეთ თავდაცვითი სახის შეი-
არადება. ასევე დავეხმარეთ დაზვერვითი სახის ინ-
ფორმაციით, ჩემს წინა თანამდებობაზე მუშაობისას,
სახელმწიფო მდივნად დანიშნვამდე. თქვენ ხედავთ ჩვენ
ძალისხმევებს მსოფლიოში, მათ შორის უკრაინასა და
საქართველოში, რათა შევეწინააღმდეგოთ რუსეთის
ძალისხმევებს. მალე არჩევნები ახლოვდება უკრაინაში.
მრავალი ელემენტი ამ მიმართულებით. და მე ვსა-
უბრობდი ამის შესახებ, რაშიც როგორც სახელმწი-
ფო დეპარტამენტი, ასევე თავდაცვის დეპარტამენტი
ჩართული. ჩვენ მზად ვართ, რომ დავეხმაროთ ქარ-
თველ ხალხს, რომელიც ძალიან კეთილგანწყობილია
აშშ-ის მიმართ და იზიარებს ჩვენს ხედვას, თუ როგორ
ოპერირებს რეგიონი,“ – ითქვა კონგრესმენი ჩაბომს
შეკითხვის საპასუხოდ, აშშ-ის სახელმწიფო მდი-
ვნის მაიკლ პომპეოს გამოსვლაში.

სალომე ზურაბიშვილი: ჩვენი მიზანი უსვლეელია და ეს ნატოს წევრობაა!

„ჩვენი მიზანი დემოკრატიისა და უსაფრთხოების გაძლიერება და გლობალური მშვიდობის მიღწევის საერთაშორისო პარტნიორობაში აქტიური მონაწილეობის გაგრძელებაა“, — განაცხადა პრეზიდენტმა სატო-საქართველოს წევრების და შეფასების ცენტრში სიტყვით გამოსვლისას.

პრეზიდენტის თქმით, საქართველომ მნიშვნელოვნად განავითარა შესაძლებლობები და მის მიმართ სტრატეგიული პარტნიორობის ნდობა და მხარდაჭერა კიდევ უფრო გაიზარდა. „დღეს ჩვენი ქვეყანა, ნატო-საქართველოს სწავლება 2019-ის“ წარმატებით დასრულებით კიდევ ერთხელ გამოხატავს თავის ძლიერ მისწრაფებას ჩრდილოატლანტიკური ალიანსისკენ. დღეს, ამ მორიგი წარმატებული ნაბიჯით, ჩვენ მკაფიოდ და თავდაჯერებულად ვაცხადებთ, რომ ჩვენი მიზანი უსვლეელია და არის ნატოს წევრობა. ჩვენი მიზანი დემოკრატიისა და უსაფრთხოების გაძლიერება და გლობალური მშვიდობის მიღწევისთვის საერთაშორისო პარტნიორობაში აქტიური მონაწილეობის გაგრძელებაა. ნატო-საქართველოს წევრად დღეს სწავლებაში საქართველო უკვე ხელმძღვანელი ქვეყანაა და ეს ძალიან ნიშანდობლივია. ეს სტატუსი მეტყველებს იმაზე, თუ რამდენად განვითარდა ჩვენი შესაძლებლობები ამ რიგით მეორე სწავლებისთვის და რამდენად გაიზარდა სტრატეგიული პარტნიორობის ნდობა და მხარდაჭერა საქართველოს მიმართ. სწორედ ჩვენი თავდაუზოგავ მონდომებაზე პასუხია ასეთი აღიარება. მინდა, ამისათვის განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩვენს პარტნიორებს“, — განაცხადა პრეზიდენტმა.

ლი წინა სწავლებისგან განსხვავებით, წელს მონაწილე სახელმწიფოების რიცხვი 10-ით გაიზარდა და ნატოს 24 წევრი და პარტნიორი ქვეყანა ჩართული ამ მნიშვნელოვან ფორმატში.

„სწორედ ასეთი ნაბიჯებით მიიღწევა ჩვენი საერთო მიზანი — მეტი ნატო საქართველოში და მეტი საქართველო ნატოში. მინდა, საზღვარსაღმეთ ვთქვა, რომ ჩვენი ბოლოდროინდელი საგარეო ვიზიტების დროს ნატოს გენერალური მდიანისგან, სამხედრო ხელმძღვანელებისგან, ნატოს წევრი ქვეყნების ლიდერებისგან ვისმენდი საუკეთესო შეფასებებს ჩვენ მიერ განხორციელებულ რეფორმებთან დაკავშირებით და ეს ჩემთვის, როგორც საქართველოს პრეზიდენტისთვის, საქართველოს თავდაცვის ძალების მთავარსარდლისთვის, ძალიან საამაყო იყო. მასშტაბური წვრთნები, ნატოს-საქართველოს მდიანის სტოლტენბერგის ვიზიტი, სამხედრო კომიტეტის ჩამოსვლა, წლის მეორე ნახევარში დაგეგმილი ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სტუმრობა — ყველაფერი ჩვენ მიმართ ალიანსის ურყევი მხარდაჭერის გამოსახატულებაა. ჩვენ წარმატებით ვახორციელებთ სამხედრო და პოლიტიკურ რეფორმებს, ზედმიწევნით ვპასუხობთ ყველა სტანდარტსა და მოთხოვნას ნატოსთან ინტეგრაციის გზაზე. ჩვენი ქვეყანა, ნატოს სტანდარტებთან შესაბამისად, მისი მთლიანი შიდა პროდუქტის 2%-ს თავდაცვაზე, თავდაცვის ბიუჯეტის 20%-ს კი — შეიარაღებაზე ხარჯავს. ჩვენ ამით არ შემოვიფარგლებით, — ვაფართოვებთ თანამშრომლობის სპექტრს და ეს ეხება შავი ზღვის უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების საკითხებს. ეს პრობლემები ჩვენი საერთო საზრუნავია და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ მხრივ თანამშრომლობა სულ უფრო გაძლიერდეს“, — განაცხადა ზურაბიშვილმა.



პარტნიორია საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში. „ჩვენ ვართ საუკეთესო პარტნიორები საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში, — თავდაუზოგავად ვიმბრუნებთ იმისათვის, რომ დაცული იყოს გლობალური მშვიდობა და საერთაშორისო უსაფრთხოება. მე ავლანთში შევხვდი სამშვიდობო მისიის მონაწილე ჩვენს საამაყო ჯარისკაცებს. მათი პროფესიონალიზმი და თავდადება საამაგალითოა. ჩვენი დასავლელი პარტნიორები ყოველთვის აღნიშნავენ, თუ რამხელა წვლილი მიუძღვის საქართველოს საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებაში. საქართველოს სვლა ნატოსკენ და ამ გზით ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება, არავის წინააღმდეგ არ არის მიმართული და არანაირი შეუპარა ჩვენს მიმართ არ არის გამართლებული. საქართველო თავისუფალი, სუვერენული ქვეყანაა და ის თავისუფლად აკეთებს არჩევანს და ირჩევს მოკავშირეებს. ჩვენი ეს არჩევანი არა მხოლოდ აძლიერებს საქართველოს თავდაცვისუნარიანობას და მის უსაფრთხოებას, არამედ განამტკიცებს რეგიონში სტაბილურობას და საფუძველს უყრის ჩვენი მშვიდობიანი პოლიტიკას. ეს არის ერთადერთი სწორი და ერთადერთი მომავალზე ორიენტირებული არჩევანი, ამიტომ ჩვენ ბოლომდე მივყავართ ჩვენს მიერ არჩეულ გზას — მეტი ნატო საქართველოში და მეტი საქართველო — ნატოში“, — განაცხადა პრეზიდენტმა.

ასა ვიქმსით უსაფრთხოების მიზნად!

ნატო-საქართველოს თანამშრომლობა მიმართულია რეგიონში მშვიდობის, სტაბილურობის და განვითარების უზრუნველსაყოფად, რაც ყველა მხარის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ნატო-საქართველოს სწავლება 2019-ის საჩვენებელ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, სწავლების საქართველოში ჩატარება არის ჩვენი ქვეყნის ევროატლანტიკური ინტეგრაციის ურყევი კურსისა და ნატოსთან მჭიდრო თანამშრომლობის კიდევ ერთი მკაფიო დასტური.

სწორედ ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში, ნატო-საქართველოს წვრთნებისა და შეფასების ერთობლივ ცენტრ-

ში წლევანდელი სწავლების ჩატარება ნიშნავს უფრო მეტ საქართველოს ნატოში და უფრო მეტ ნატოს საქართველოში.

მთავრობის მეთაურის თქმით, ის, რომ მრავალეროვანი სწავლება საქართველოში ტარდება, ნიშნავს თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას, შეკავების შესაძლებლობებისა და მდგრადობის გაძლიერებას, ნატოსთან თავსებადობის კიდევ უფრო გაზრდას.

პრემიერ-მინისტრის თქმით, **საქართველო უსაფრთხოების მომხმარებელიდან დღეს უკვე უსაფრთხოების მიმწოდებელი სახელმწიფოდ გადაიქცა და როგორც ყოველთვის, მიისწრაფვის მშვიდობისა და კეთილდღეობისკენ.**

ნატო-საქართველოს სწავლება 2019-ის მიმდინარეობას პრემიერ-მინისტრი გუშინ პრე-



ზიდენტთან და ნატოს „მოკავშირეთა ტრანსფორმაციის სარდლობის“ მეთაურის მოადგილე, ადმირალ მანფრედ ნილსონთან ერთად გაეცნო. სწავ-

ლის საპასუხო ოპერაციების დაგეგმვისა და აღსრულებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად აუმჯობესებენ.

სამეთაურო-საშტაბო სწავლებაში, რომელსაც JTFC-ი 18-29 მარტს მასპინძლობს, 350-მდე სამხედრო და სამოქალაქო პირი მონაწილეობს. „ნატო-საქართველოს სწავლება 2019“ პირველი ერთობლივი მრავალეროვნული ბრიგადის დონის სამეთაურო-საშტაბო სწავლებაა საქართველოს თავდაცვის ძალები ხელმძღვანელობით, რომელიც საქართველოს, ალიანსის და პარტნიორი ქვეყნების შეიარაღებული ძალების ურთიერთ თავსებადობის ამაღლებასა და საქართველოს თავდაცვის ძალების მართვისა და კონტროლის შესაძლებლობების გაძლიერებას ისახავს მიზნად.

...სრული უპასუხისმგებლობა და ტყუილი!

სხვადასხვა უპასუხისმგებლო ძალების განცხადებები, თითქოს საქართველო გაქრა დასავლური ქვეყნების პოლიტიკური დღის წესრიგიდან, არის სრული უპასუხისმგებლობა და ტყუილი! — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ მთავრობის სხდომის დაწყების წინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა მედიას გააცნო გასული დღეების განმავლობაში მიმდინარე აქტივობები, რომელიც საქართველოს ევროკავშირთან და ნატოსთან დაახლოებას უკავშირდება.

„საქართველოს სტუმრობდა ჩვენი ქვეყნის ძალიან კარგი მეგობარი, ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი და მისი ვიზიტი გახლდათ კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ ნატო მხარს უჭერს საქართველოს, ჩვენი ერის მისწრაფებებს, რეფორმათა პაკეტს, რომელიც დაგვემარება ჩვენ ალიანსში გაწევრიანების გზაზე და გვერდში უდგას ჩვენს ქვეყანას ამ პროცესში. გენერალურმა მდივანმა დადებითად შეაფასა საქართველოს ნატოში განწევრიანების პროცესის მიმდინარეობა და ხაზი გაესვა იმ პროგრესს, რაც გვაქვს ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე. ამის პარალელურად ჩვენ მოვისმინეთ ტყუილი და ახალი „ფეიქ ნიუსე-

ბი“ უპასუხისმგებლო პოლიტიკური ძალებისგან, თითქოს საქართველო არ ფიქსირდება დასავლეთის პოლიტიკურ დღის წესრიგში და თითქოს ჩვენ გავკრით რადარებიდან. მე არ ვაპირებ გავაკეთო ამ განცხადების სერიოზული შეფასება. მინდა, საზოგადოებას მივანოქო რამდენიმე დღის ქრონოლოგია. საქართველო მასპინძლობს საერთაშორისო სწავლებებს და ეს არის პირველი შემთხვევა ნატოს პრაქტიკაში, რომ ნატოს არანაირი ქვეყანას მივცა უფლება, უხელმძღვანელო ასეთ სწავლებებს და ის იყოს ხელმძღვანელი დაგეგმვის პროცესიდან მის აღსრულებამდე. პარალელურად, საქართველოს ეწვია ნატოს სამხედრო კომიტეტი და ეს არის კომიტეტის რიგით მესამე ვიზიტი ჩრდილოატლანტიკური ალიანსთან საქართველოს ძლიერი და მზარდი თანამშრომლობის გზაზე“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერის განცხადებით, დღეს სტრასბურგში ევროკავშირ-საქართველოს ასოციაციის საპარლამენტო კომიტეტის სხდომა იმართება, სადაც საქართველოს მიმართ მნიშვნელოვანი შეფასებები გაკეთდება. მთავრობის მეთაურმა მადლობა გადაუხადა ასევე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს, აშშ-ის სახელმწიფო მდიანის მიერ კონგრესში გაკეთებული ძლიერი გზავნილებისათვის.

„მე ჩამოვთვალე რამდენიმე დღის ქრონოლოგია, რომელიც ეხებოდა ჩვენს საგარეო პოლიტიკას და საერთაშორისო მისწრაფებებს. ამის მიუხედავად, ჩვენ ვუყურებთ იმას, თუ როგორ მოქმედებს სიტუაციის მანქანა, ენ. „ფეიქ ნიუსები“. რაზეც მე ვისაუბრე, ეს არის ჩვენი ეროვნული ინტერესები, რომელიც ყველაფერზე, ნებისმიერ პარტიულ ინტერესზე მაღლა დგას. დარწმუნებული ვარ, საზოგადოება ჯანსაღად შეაფასებს ასეთ უპასუხისმგებლო ძალების განცხადებებს, რომლებიც ერთი მხრივ, ამბობენ, რომ ერთგული არიან ჩვენი საერთაშორისო მისწრაფებების, რომ გავხდეთ ნატოს და ევროკავშირის სრულფასოვანი წევრები და ამასთან ერთად აკეთებენ ასეთ ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს, თითქოს საქართველო გაქრა დასავლური ქვეყნების პოლიტიკური დღის წესრიგიდან. ეს არის სრული უპასუხისმგებლობა და ტყუილი. საქართველოსა და ნატოს შორის ურთიერთობა არასდროს ყოფილა ასეთ მაღალ დონეზე. საქართველო ევროპულ ოჯახთან არასოდეს ყოფილა ასე ახლოს და საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობა არასოდეს ყოფილა ასეთ მაღალ ნიშნულზე. ეს არის კონკრეტული ფაქტები და ამას ყველა უნდა შეეგუოს“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

სოსო არჩვაძე: სტატისტიკური მაჩვენებლები

წლიდან წლამდე უმჯობესდება, მაგრამ...

მოსახლეობის დიდი ნაწილი ამახსნის ვერ გრძნობს!

– ძველანაში სტატისტიკური მაჩვენებლები წლიდან წლამდე უმჯობესდება, მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილი ამას საკუთარ თავზე ვერ გრძნობს, რაც შემდეგ გამოისახება პროტესტში, აქციებში და ა. შ. – ასე ეხმიანება ეკონომიკის ექსპერტი, პროფესორი სოსო არჩვაძე სოციალური სააგენტოს თანამშრომლების საპროტესტო აქციას. იგი „კომერსანტთან“ ქვეყანაში უსამართლო სახელფასო პოლიტიკაზე და ზოგადად, შრომის კანონმდებლობის დახვეწის აუცი-



ლებლობაზე საუბრობს. როგორც არჩვაძე აცხადებს, კანონმდებლობაში აუცილებლად უნდა არსებობდეს მინიმალური ხელფასი და ინდექსირების მექანიზმი. ჩვენ არ გვაქვს მინიმალური, საათობრივი ანაზღაურების ცნება. შემოტანილი არ არის უმუშევრების დახმარების კატეგორია და ა. შ. – საბაზრო ეკონომიკას განვიხილავთ 4 მიმართულებით. ეს არის საქონელი, მომსახურება, კაპიტალი და ცოცხალი ძალა. აქ ყველაზე სუსტი რგოლი სამუშაო ძალაა. მთავარია პოლიტიკური ნება, იმის სურვილი, რომ

ყველაფერი დალაგდეს. ზოგადი კანონზომიერებაა, რომ ადამიანები უფრო იოლად ეგუებიან გაჭირვებას, ვიდრე უსამართლობას. მე არ მინდა, კენჭები ვისროლო სტატისტიკის ეროვნული სამსახურისკენ, რადგან ეს მათ ყველაზე ნაკლებად ეხებათ. თუმცა, ის ინფორმაცია, რაც დაიდო საშუალო ხელფასის რაოდენობაზე, იყო ბიძგის მიმცემი და ბოლო წვეთი. სწორედ ამან გამოიწვია მიმდინარე კვირაში სოციალური მუშაკების პროტესტი.

ჩანს, რომ საქართველოს სტატისტიკური მაჩვენებლები უმჯობესდება, წლიდან წლამდე იზრდება, ხოლო მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი ვერ გრძნობს ამას საკუთარ თავზე. ეს შემდეგ გამოისახება პროტესტში, აქციებში და ასე შემდეგ.“ – აღნიშნავს არჩვაძე.

როგორც ცნობილია, სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლები, სისტემაში ცვლილებების მიზნით, რამდენიმე დღეა, აქციას მართავენ.

სოფო ძსოვრავლი

ეკონომიკის მინისტრის სახლის ქურდობის ფაქტი განხილვა

შინაბან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების, შედეგად, ქურდობის ბრალდებით, 1990 წელს დაბადებული, პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი მ.უ. დააკავეს. დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებული მიმდინარე წლის 16 მარტს დაბა წყნეთში მდებარე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის გიორგი ქობულაძის აგარაკზე უკანონოდ შეაღწია, საიდანაც სხვადასხვა ნივთი მოიპარა და შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. სამართალდამცველებმა მ.უ. მომხდარიდან მალევე თბილისში დააკავეს.

რა უნდა იცოდეთ, თუ დაგროვებით პენსიაზე უარის თქმას აპირებთ?

ვისაც დაგროვებით პენსიაში მონაწილეობა არ სურს, საპენსიო სქემიდან გასვლის შესაძლებლობა 1 აპრილიდან მიიცემა.

ვის შეუძლია პენსიაზე უარის თქმა? დაგროვებითი პენსიის სქემიდან გასვლის შესაძლებლობა აქვს პირს, რომელიც 2018 წლის 6 აგვისტოს უკვე 40 წლის იყო.

როდის დაწინაურდება პენსიაზე უარის თქმა? საპენსიო სქემა 2019 წლის 1 იანვარს ამოქმედდა, მაგრამ რადგან ყველა უშუალოდ ამ დღესვე არ დაარეგისტრირებულა, საპენსიო სააგენტო ათვლის წერტილად იღებს თარიღს, როდესაც ამა თუ იმ სამსახურის ბუღალტერმა დეკლარაცია შეავსო, დახურა და თანამშრომლები საპენსიო სქემაში გააწევრიანა. ამ თარიღიდან სამი თვის შემდეგ პირს უკვე შეუძლია განცხადების დაწერა საპენსიო სქემიდან გასვლის შესახებ.

სად ვნახოთ დაქვარების შესახებ ინფორმაციას?

ეს შეიძლება გაარკვიოთ ბუღალტერთან და საპენსიო სააგენტოს საიტზეც. მეტი სიზუსტისთვის ჯობს ორივე წყარო გამოიყენოთ.

1. შედინარო საპენსიო სააგენტოს საიტზე:



- 2. შედინარო ვებზე: სააგენტოს სისტემაში შესვლა.
- 3. ავსებთ ორ ფანჯარას: მომხმარებლის ფანჯარაში წერთ პირად ნომერს, პაროლის ფანჯარაში კი პაროლს, რომელიც თქვენმა ბუღალტერმა სისტემაში დარეგისტრირებისას მიიღო. ბუღალტერი ვალდებულია, მოგაწოდოთ ეს პაროლი.
- 4. თუ ორ ან მეტ ადგილას ხართ დასაქმებული, საქირთა ორი პაროლი.

ყურადღება!

საპენსიო სქემაში რეგისტრაციიდან სამი თვის შემდეგ თქვენ შეგიძლიათ გახვიდეთ სისტემიდან, სისტემიდან გასვლა ორი თვის განმავლობაში არის შესაძლებელი.

თუ ამ ვადაში ვერ მოახსნარით, შემდეგ საპენსიო

სქემას უკვე ვეღარ დატოვებთ. თუმცა, თუ გახვედით, დაბრუნების შესაძლებლობა ძველებურად გრძნობთ.

სად და როგორ დაწინაურდება პენსიაზე უარის თქმა?

ბანატსხაღი პენსიიდან გასვლის შესახებ უნდა დაწეროთ სოციალური მომსახურების სააგენტოს ფილიალებში. საქართველოს მასშტაბით სულ 69 ფილიალია.

ასევე, განცხადების დაწერა შეგიძლიათ საპენსიო სააგენტოს მთავარ ოფისში, თბილისი – ნ. ყიფშიძის 7ბ-ა. განცხადების დაწერის პროცედურა ადვილია და სამ წუთზე მეტს არ მოითხოვს.

ხელმოწერის შემდეგ განცხადება აიტვირთება სისტემაში და ამ დროიდან თქვენ უკვე ალარა ხართ საპენსიო სააგენტოს მომხმარებელი.

თუ ამ ორი თვის განმავლობაში განცხადების დასაწერად მისვლას ვერ ახერხებთ, თქვენს ნაცვლად განცხადების დაწერა შეეძლება პირს, რომელსაც თქვენ განსათანადო მინდობილობა აქვს.

სად ნახა უკვე დაგროვებული ფული?

საპენსიო სქემიდან გასვლის შემდეგ დაგროვებული თანხა შემომტანებს (სახელმწიფო, დამსაქმებელი, მოქალაქე) უბრუნდება.

თბა თოფურია

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის განცხადება

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თავისი წესდების X თავის შესაბამისად, აცხადებს კონკურსს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიატების ასარჩევად შემდეგ სამეცნიერო განყოფილებებში:

სამეცნიერო განყოფილება	ვაკანსია
აგრონომიის სამეცნიერო განყოფილება	1
მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო განყოფილება	1
აგროინჟინერიის სამეცნიერო განყოფილება	1
სურსათის უვნებლობისა და სასურსათო ტექნოლოგიის სამეცნიერო განყოფილება	2
სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილება	1
ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილება	1

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიატად აირჩევა დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი, საქართველოს მოქალაქე, რომელიც საქართველოში მოღვაწეობს და საერთაშორისო დონეზე აღიარებული სამეცნიერო ნაშრომების ავტორია და რომლის ასაკი 50 წელს არ აღემატება. აკადემიის სტიპენდიატობის კანდიდატთა წარმოყენების უფლება აქვთ აკადემიის წევრებს, სამეცნიერო დაწესებულებებს, სახელმწიფო უმაღ-

ლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო საზოგადოებებს, რაზედაც ისინი წერილობით, სათანადო მოტივირებით, წამოაყენებენ და აცნობენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას აკადემიის სტიპენდიატობის კანდიდატურების შესახებ არაუგვიანეს ერთი თვისა არჩევნების თაობაზე განცხადების გამოქვეყნებიდან. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სტიპენდიატობის კანდიდატთა შესახებ აუცილებელია შემდეგი საბუთების წარ-

მოდგენა (ორ ეგზემპლარად): აკადემიის სტიპენდიატად წარდგინება სათანადო დასაბუთებით, დამონებული წარმდგენის ხელმოწერითა და იმ დანესვლებების ბეჭდით, სადაც წარმდგენი მუშაობს, კანდიდატის ავტობიოგრაფია, ფოტო 4X6, უმაღლესი განათლების, დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის, დამადასტურებელი საბუთების ასლები, მონაცემები შრომითი და სამეცნიერო საქმიანობის შესახებ (CV), სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი (საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ვარსკვლავით აღნიშვნით), დარგის სპეციალისტის მიერ კანდიდატის სამეცნიერო მოღვაწეობის შეფასება, კანდიდატის პირადობის მოწმობის ასლი, ცნობა სამუშაო ადგილიდან მისი საქართველოში მოღვაწეობის შესახებ.

აღნიშნული განცხადება ქვეყნდება პრესაში, ხოლო განცხადება და კანდიდატის მონაცემები (CV) განთავსებული იქნება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვებ-გვერდზე www.gaas.dsl.ge. რისთვისაც წარმდგენილ დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს მისი ელექტრონული ვერსიაც. საბუთები რეგისტრაციისა და არჩევნებში მონაწილეობისთვის იგზავნება საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში. განცხადებები მიიღება 2019 წლის 01 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქ. 51, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია (აკადემიური დეპარტამენტი, ოთახი 17, ტელ: 2-94-13-21). საბუთები მიიღება ყოველ სამუშაო დღეს 10-დან 17 საათამდე.


საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის განცხადება



მანიტარული მეცნიერებები, რომლებიც ქვეყნის ერთ-გვარ სავიზიტო ბარათს წარმოადგენენ, უფრო მეტად განვითარდებიან.

მოხსენებით „აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“ ქართველ ისტორიკოსთა წარჩევი საზოგადოების წინაშე გამოვიდა პროფესორი **ლევან გორდუზიანი**, რომელმაც აღნიშნა, რომ მისთვის დიდი პატივია ამ ფორუმზე დიდი მეცნიერის შესახებ მოხსენების წაკითხვა. პროფესორმა ლ. გორდუზიანმა განსაკუთრებული მადლიერებით გაიხსენა თავისი მასწავლებელი, მასთან მუშაობის წლები და ერთობლივი ინტერესებიდან გამომდინარე სამეცნიერო კვლევები, მიმოიხილა მისი ბიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი საფეხურები და მეცნიერების განვითარებაში შეტანილი წვლილი.

– გიორგი მელიქიშვილი უაღრესად ნიჭიერი კაცი იყო, უნივერსიტეტი 20 წლისამ იმ ხანებში დაამთავრა, როცა იქ ჯერ კიდევ ალმამატერის დამაარსებლები მოლ-



ნი დოკუმენტური ფილმი, რომელშიც მეცნიერი ურარტოლოგიაში თავისი კვლევების შესახებ საუბრობს. დამსწრე საზოგადოების წინაშე აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილთან დაკავშირებული მოგონებებით გამოვიდნენ აკადემიკოსი **დავით მუსხელიშვილი**, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **კონსტანტინე ფიცხელაური**, პროფესორები **ჯემალ შარაშენიძე**, **ირინე ტატიშვილი**, **ოთარ შორდანი**, **გიორგი ჭეიშვილი**, **სხვები**.

გამომსვლელებმა დიდი სიბოთი და ღრმა პატივისცემით მოგონეს გიორგი მელიქიშვილი, ნაზგასმით აღნიშნეს გამოჩენილი მეცნიერის ინტერესთა მრავალმხრივობა, რაც საქართველოს ისტორიის ანტიკური ხანიდან მოყოლებული თანამედროვე ისტორიის აქტუალური საკითხების უაღრესად პროფესიულ კვლევებში აისახა. მან შესანიშნავად გააანალიზა საბჭოური სოციალიზმის სიბოთურე და მისგან ერთგვარ მემკვიდრეობით მიღებული თანამედროვე რუსეთის პოლიტიკაში აგრესიულობის გაბატონების მიზეზები. აღინიშნა საზოგადოებაში და კოლეგებთან ურთიერთობაში მისი გარეგანი ჩაკეტილობა, თუმცა კი ბუნებით უაღრესად გულთბილი და იუმორის უზადო გრძობის მქონე კაცი იყო. ყველაფერთან ერთად იგი ნამდვილი ინტელექტუალი, კარგი და გულსყურისანი, გონიერი ხელმძღვანელი ბრძანდებოდა.

სიტყვით გამომსვლელები ასევე ლაპარაკობდნენ გიორგი მელიქიშვილის დიდ მეცნიერულ ავტორიტეტზე, მისი შრომების მნიშვნელობასა და საქვეყნო აღიარებაზე, უდიდეს პედაგოგიურ ნიჭზე, კოლეგიალობის არაჩვეულებრივ გრძობაზე, რაც თანამშრომელთა კომუნისტური პარტიული წინესიდან დაცვაში არაერთხელ გამოიხატა.

საქართველოს საისტორიო საზოგადოების პრეზიდენტმა, პროფესორმა **ოთარ შორდანიამ** დამსწრე საზოგადოებას ექსპრესიულად მიხეილ სააკაშვილის ნიგონოს ამონარიდი შეახსენა, რომელიც ის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებს „დედაქალაქის ცენტრში მოკალათებულ უსაქმურებს“ უწოდებს და იმ აზრს გამოთქვამს, რომ ეს ორგანიზაცია საერთოდ დასაშლელია. ორატორმა ასევე აღნიშნა, რომ როცა საქართველოს მიმართ როგორც საქართველო მეზობელი, ასევე არაკეთილმოსურნე ჩრდილოელი მეზობელი და მისი საფარველქვეშ მყოფი სეპარატისტები ისტორიის, გეოგრაფიისა და რელიგიის გაყალბებას აქტიურად ეწევიან, ქართველ ისტორიკოსებს ჭეშმარიტების დაცვა გაათმავლებული მონადირეებით მართებო.

თავის მოკლე რეპლიკაში საზეიმო სხდომის წამყვანმა, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა როინ მეტრეველმა კი გულდაწყვეტით აღნიშნა, რომ ბოლო წლებში საქართველოში მეცნიერ-მუშაკთა რიცხოვნობა, საუკუნის დამდეგს არსებული 50 ათასი კაციდან ამჟამინდელ დაახლოებით 2000 კაცამდე, ანუ 25-ჯერ შემცირდა(!), თუმცა ქვეყნის სათავეში ახალი პოლიტიკური ძალის მოსვლის შემდეგ, მთავრობის მიდგომა სამამულო მეცნიერების მიმართ ძირფესვიანად შეიცვალა, რაც გაცილებით უკეთესი მომავლის იმედს გვისახავს.

პროფესორი **ოთარ შორდანი** საიუბილეო სხდომის მონაწილეთა წინაშე გამოვიდა წინადადებით აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის ცხდრის დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონიდან მთაწმინდის პანთეონში გადასვენების თაობაზე. გარდა ამისა, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ხელმძღვანელობას მეცნიერის თხოვრებათა სრული კრებულის გამოცემის შუამდგომლობით მიმართა.

გამოჩენილი მეცნიერის საიუბილეო სხდომამ შთაბეჭდავი ერთსულელებით და მეცნიერული კეთილსინდისიერებით ჩაიარა.

ოთარ ტურაბელიძე

ურარტუდან დღევანდლამდე უზასაუკუნეების გაპლით: ისტორიულ კვლევათა აღმასკლის საფესურები

აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის 100 წლისთავი

ძმარტული საისტორიო სამეცნიერო საზოგადოებისთვის მეტად ღირსშესანიშნავი ღონისძიება გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზში, სადაც 27 მარტს გამართული საიუბილეო სხდომა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, პედაგოგისა და სახელმწიფო მოღვაწის, აკადემიკოს **გიორგი მელიქიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავს** მიეძღვნა.

ვიდრე აკადემიკოს **გიორგი მელიქიშვილის** საიუბილეო სხდომის მიმდინარეობისა და სიტყვით გამომსვლელებმა შინაარსს გადმოგვცემდით, აუცილებლად გვინდა აღვნიშნოთ, რომ საგანგებოდ ამ დღისთვის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა, სახელოვანი ისტორიკოსის მემუარული ჩანაწერების, ისტორიული ეტიუდების, მოსაზრებების, პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული სტატიების, აგრეთვე ქართულ და უცხოელ მეცნიერებთან მიმოწერის უაღრესად საინტერესო, მშვენივრად ილუსტრირებული სოლიდური წიგნი გამოსცეს.

ამ წიგნის ერთ-ერთ თავში „**ისტორიული ეტიუდები, მოსაზრებანი**“ გადმოცემულია გიორგი მელიქიშვილის განზოგადებული მსჯელობები ისტორიის საგანსა და მეთოდოლოგიაზე, აგრეთვე „ფორმაციათა თეორიაზე“, ადამიანის როლზე, როგორც ისტორიის შესწავლის ობიექტზე. გარდა ამისა, წიგნში შეტანილი 1990 წლის ინტერვიუში, მრავალ სხვა საკითხთან ერთად, ლაპარაკია საბჭოთა სისტემის ჩამოშლის მიზეზებზე, რაც საუცხოოდ წარმოაჩენს სწავლული ისტორიკოსის, მეცნიერის, ორგანიზატორის, დიდებული პიროვნების სახეს.

ამ საუცხოო წიგნის რედაქტორები **ნინო მელიქიშვილი** და **სოფიო სარჯველაძე** არიან, რომლებმაც იგი **ირინე და ლია მელიქიშვილებთან** ერთობლივად შეადგინეს.

მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში გიორგი მელიქიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **როინ მეტრეველმა**, რომელმაც დამსწრეთ დიდი მეცნიერის სამამულო საისტორიო მეცნიერების წინაშე განსაკუთრებულ ღვაწლზე ილაპარაკა. კერძოდ, მან დარბაზში მყოფთ მიულოცა სახელოვანი ისტორიკოსის დაბადებიდან საუკუნოვანი თარიღი და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნამდვილად დიდი საერო საქმე იქნება, თუკი სამამულო ჰუ-



ვანობდნენ. მისი პროფესიის არჩევანი გარკვეულწილად თბილისში ისტორიის რამდენიმე ცნობილი უცხოელი სპეციალისტის ჩამოსვლამ განაპირობა, თუმცა შემდგომ იგი დილემის წინაშე დადგა – უცხოეთის ქვეყნების ისტორიის შესწავლას გაჰყოლოდა თუ საქართველოს უძველესი ისტორია ეკვლია და მან ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო – მეცნიერული მუშაობა ორივე მიმართულებით წარმართა. 42 წლის ასაკში გიორგი მელიქიშვილი აკადემიკოსი გახდა, 45 წლის – ისტორიის ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა. სსრ კავშირის ლენინური პრემია მან ურარტოლოგიის საკითხების კვლევაში მიიღო, გულმოდგინედ სწავლობდა ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფო-საზოგადოებრივი წყობილების საკითხებს, ასევე საქართველოს უძველეს ისტორიას და ამ თემაზე სახელმძღვანელოები და მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნარკვევი შექმნა.

შემდეგ ნაჩვენები იყო ჩვენი სახელოვანი **კინორეჟისორის მერაბ კოკოჩაშვილის** მიერ აკადემიკოს **გიორგი მელიქიშვილზე** გადაღებული მოკლემეტრაჟი-



რუსეთის დუმამ ორი მოსმენით განიხილა პირადად ვლადიმერ პუტინის მიერ ინიცირებული კანონპროექტი „კანონიერი ქურდობის“ წინააღმდეგ სასჯელის გამოკაცრების შესახებ, რომელიც ქართულის ანალოგიურია და კანონიერი ქურდობის ამლიარებლებისთვის 8-დან 20 წლამდე პატიმრობას და 5 მილიონ მანეთ (დაახლოებით 200 000 ლარი) ჯარიმას ითვლისწინებს.



გალიზიანება გამოწვეული უნდა იყოს არა ქართველ კომპოზიტორებსა და შემსრულებლებზე ზრუნვით, არამედ მისი ორგანიზაციის დაუსაბუთებელი (ფარული, არადეკლარირებული) შემოსავლების გზების გახმარებისა და, საბოლოოდ, მისი დაკარგვის შიშით. აქედან უნდა მომდინარეობდეს საქართველოში მორიგი ურაპატრიოტული აქციონების შექმნის სურვილი საქართველოს მიმართ ახალი „რუსული ინტერესებისა“ და „საქართველოს ინტელექტუალური ოკუპაციის“ თაობაზე. უფრო ზუსტად, ქართული ინტელექტუალური საზოგადოების ყურადღების მთავარიდან მორესარისხოვანზე, მაპატივით – მთავარიდან არარსებულზე – გადატანის ბავშვური მცდელობა.

ეს იმის დასტურია, რომ რუსეთი ქართული კანონების ქურდობით ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს ოკუპაციას აღრმავებს! არა ქართული ინტელექტის ოკუპაცია! ერთად შევაკავოთ რუსული საფრთხე! ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ!

სასამართლო სისტემის და ბიზნეს კორუპციის უიუბის!

კობალაძე, საქართველოში მოქმედი საავტორო უფლებების დაცვის საზოგადოების ხელმძღვანელი (აქვე ბოდიშს გიხდით ვრცელი ამონარიდისთვის):

„ევრაზიული კავშირი EACOP დაფუძნდა 2017 წლის აგვისტოში ავტორთა და კომპოზიტორთა საზოგადოების საერთაშორისო კონფედერაციის (CISAC) საპირწინედ და კონკურენტად. CISAC მუსიკის სფეროში მსოფლიო გაერთიანება და მასში გაწევრიანებულია მსოფლიოს 239 ორგანიზაცია. საქართველოც მისი წევრია. რუსეთში, მასში გაწევრების მიზნით, დაიწყო ზეწოლა საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციაზე (GCA). მოლაპარაკებას აწარმოებდა და თბილისში, ოთხკაცდა ამალასთან ერთად პირადად შემხვდა ანდრეი კრიჩევსკი, რომელიც ერთდროულად არის RAO-ს, EACOP-ის, IP CHAIN-ის, ამ სფეროში მოქმედი კიდევ რამდენიმე რუსული კომპანიის ხელმძღვანელი და დამფუძნებელი. ამაში მას ესმარებოდა კიდევ ერთი RAO-ს ქუდაქვეშე შექმნილი რუსული ორგანიზაციის (FONMIV) ქართველი წარმომადგენელი ალექსანდრე (ბაკუნა) გვარიშვილი, რომელიც ასევე რამდენჯერმე შეხვდა ამ მიზნით. ეს ბატონები დახილეს, რომ გვესარგებლა IP CHAIN-ის ტექნიკური მხარდაჭერით და შევსულიყავით ევრაზიულ კავშირში, რაზეც, რა თქმა უნდა, უარი მივადექ, რადგან ამათ შესუსტდებოდა საქართველოს, როგორც რეგიონში ლიდერი ქვეყნის

როლი მსოფლიო არენაზე და მოხდებოდა განვითარების არსებული დინამიკის შეფერხება და უკუხველა.

უარით გალიზიანებულმა რუსეთმა მიმართა უკვე მრავალგზის ნაცად, ციხის შიგნიდან გატყევის მეთოდს. დასაყრდენად, ალექსანდრე (ბაკუნა) გვარიშვილის დახმარებით, მოძებნა რუსეთის მიმართ სენტიმენტალურად განწყობილი ქართველი მომღერლები... ვისი მეშვეობითაც დაიწყო ჩვენი დისკრედიტაცია და ამ გზით საავტორო უფლებების სფეროში არეულობის შეტანა. ამ ბატონებმა დააფუძნეს ორგანიზაცია, რომელმაც თითქოს უნდა მართოს ქართველი მუსიკოსების საავტორო უფლებები და შეაგროვოს მათი მონოგრაფიები, რაც, სხვა მიზეზებს რომ თავი დაგანებოთ, შეუძლებელია თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ამ ორგანიზაციას ამის იურიდიული უფლებამოსილება არა აქვს... მთელი ამ პროცესის შეკავების მიზნით, ჩვენ, ამ სფეროს მთავარ მოთამაშეებთან, ბრავო რეფორმისტთან და GMI Rights Management-თან ერთად ვიწყებთ საინფორმაციო კამპანიას: არა ინტელექტის ოკუპაციას! მეჯურა, რომ კამპანია წარმატებული იქნება, გვეყოფა გონიერება, გავითვალისწინოთ უკრაინის მაგალითი და თავიდან ავიცილოთ ინტელექტუალური საკუთრების ოკუპაცია.

ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ, ერთად შევაკავოთ რუსული საფრთხე! ჩემი აზრით, ბატონი გიგა კობალაძის

პრობლემაც ციხეებში უბრალოა – ქართველი კომპოზიტორების, მუსიკოს-შემსრულებლების ინტელექტუალური საკუთრების გავრცელებისა და მოხმარების ძირითადი არეალი გახლავთ სწორედ რუსეთი და მთლიანად პოსტსაბჭოთა სივრცე. ამ მოცემულობიდან გამომდინარე, რუსეთსა და ევრაზიული კავშირის წევრ სხვა ქვეყნებში მოქმედ ანალოგიურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გარეშე ქართული ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, უბრალოდ, შეუძლებელია. იგი ასევე შეუძლებელია ინტელექტუალური საკუთრების მომხმარებელთა (რესტორნები, კაფე-ბარები, სასტუმროები...) რეალური კონტროლის გარეშე. ეს კი, თავის მხრივ, უზარმაზარ ტერიტორიაზე განლაგებულ ათასობით ობიექტში შესაბამისი აპარატურის დამონტაჟებას გულისხმობს. ახლად შექმნილი ქართული საავტორო უფლებების დამცველი ასოციაცია რუსი პარტნიორების დახმარებით სწორედ ამას აპირებს.

იძულებული ვარ, გავიმეორო, რომ აქ საქართველოს, ბელარუსის ან ყაზახეთის რომელიმე რესტორანში რუსული მოსასმენი აპარატურის დამონტაჟება არ იგულისხმება – ამას რუსული სპეცსამსახურები ბატონი გიგა კობალაძესთან, მის ქართველ ოპონენტ ალექსანდრე გვარიშვილთან, გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელთან და თვით ლეიბორისტ შალვა ნათელაშვილთან შეუთანხმებლადაც მშვენივრად გააართმევენ თავს.

აქვე, დიდი ბოდიშის მოხდით, მინდა, ვუთხრა ჩემს ქართველ კოლეგა-ყურნალისტებს – ზოგადად, „ინტელექტის ოკუპაციაზე“ საუბარი ძალიან, ძალიან სამარცხვინოა, რადგან ასეთი რამ, უბრალოდ, შეუძლებელია. გაცილებით გონიერული, კეთილშობილური და მომგებანი იქნება, თუ დაპირისპირების გაღრმავებაზე კი არა, მხარეებს შორის შეთანხმებულ ვიზორუნებთ. ყველა ომი და დაპირისპირება ხომ საბოლოოდ ზავით და მორიგებით მთავრდება. იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ასეთი მიდგომა, შესაძლოა, მთლიანად რუსულ ქართული ურთიერთობების დალაგებასაც წაადგეს.

შემიძლია, კომპრომისული ლოზუნგიც შემოგთავაზო – არა ომს და დაპირისპირებას!

თეიმურაზ ძორიძე

საავტორო უფლებების შესახებ ბავშვური სიზმარის!

ელიზბარ ჯაველიძე – არის რალადა სააგენტო, რომელიც იცავს საერთოდ პატენტებს, ჰოდა, რაც შეეხება ინტელექტუალური საკუთრების დაცვას კონკრეტული სააგენტოს შესახებ, არაფერი მსმენია.

კობა დავითაშვილი – მალალ დონეზეაო, ვერ იტყვი და არც გამოგია ამ საავტორო უფლებების დაცვის შესახებ არაფერი.

ომარ ნიშნიანიძე – მსმენია და ვიცი კიდევ საავტორო უფლებების დაცვის შესახებ. რამდენიმე გადაცემაც კი მიქმდნა ტელევიზიით ამ თემას. ადრეც ნამიკითხავს ამის შესახებ. ეს ბოლო პერიოდი აღარაფერი ვიცი. კონკრეტულად სააგენტოს ვერ დავისახელებთ, მაგრამ კონკრეტული უფლებადამცველები რომ არიან ამ კუთხით, ეს ნამდვილად ვიცი.

ჯაბა სამუშია – როგორც ვიცი, არსებობს საავტორო უფლებების სააგენტო და ხელოვნების მიმართულიც მუშაობენ, რომელთანაც მე შეხება არ მქონია, მაგრამ რამდენადაც მსმენია და ნამიკითხავს კიდევ, იყო ხოლმე გარკვეული პროტესტები მომღერლების მხრიდან, სიმღერების შესრულებასთან დაკავშირებით. რა ჰქვია სააგენტოს, არ ვიცი, მაგრამ, რომ არსებობს, ნამდვილად ვიცი.

გიორგი ახვლედიანი – სიმართლე გითხრათ, არაფერი მსმენია და არაფერი ვიცი ამ საკითხის შესახებ.


ლალი აფციაური – ამ საკითხებით მე არ ვარ დაინტერესებული და როგორც ასეთი, ინტელექტუალური

რი საკუთრების დაცვის სააგენტო თუ არსებობს, არ გამოგია. ვინმე თუ რამე უფლებას იცავს, სახელი ხომ მაინც უნდა გეუბნებოდეს რამეს? შესაბამისად არაფერი მსმენია, ვერაფერს გეტყვი.

გია ბურჯანაძე – კი, მსმენია საავტორო უფლებებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვასთან დაკავშირებით. მახსოვს, რომ საუბრობდნენ ამ უფლებების დაცვის შესახებ, მაგრამ კონკრეტულად რომელი პირები და ორგანიზაცია, არ მახსოვს.

ირმა ინაშვილი – ვიცი, მსმენია საავტორო უფლებების დაცვის შესახებ და თვითონ ორგანიზაციაც ვიცი. როცა ვიყავი ტელეკომპანია „ობიექტივის“ ხელმძღვანელი, ერთხელ მქონდა შეხვედრა მის ხელმძღვანელობასთან, ქართული ფილმების და მუსიკალური ნაწარმოებების განთავსება მინდოდა თეორში და მაშინ მქონდა შეხვედრა.

ნანა დედარიანი – საავტორო უფლებების დაცვის ორგანიზაციის შესახებ ვიცი, რომ ადრე არსებობდა, ახლა ნამდვილად არ ვიცი...



⊙ ასე იწყებოდა...

აკლად თქვენი

ხმალი დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის დაბადების დღეა — სანიშნისე-ტო თარიღი, როცა ეროვნული მოძრაობის პატრიარქმა და ქვეყნის მომავალმა პირველ-მა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ გზა დაულოცა სადებულო მატჩის მონაწილეებს — თბილისის „იბერიასა“ და ფოთის „კოლხეთს“, ქართული ფეხბურთის აკვან-ქა-ლაქს რომ წარმოადგენდა. იმ დღეს „დინა-მოს“ სტადიონზე 80 ათასი მაყურებელი შე-იკრიბა და ბურთი სიმბოლურად თამაშში უმცროსმა ვიტალი დარასელიამ შეიყვანა.

მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა, თუმცა, არც წინა თაო-ბების დამსახურებათა დავინწყება შეიძ-ლება, 1936 წლიდან მოყოლებული, სახელი და დიდება რომ მოჰქონდათ საბჭოთა ფეხბურთის ბრახილიელთათ-ვის — თბილისის დინამოელთათვის.

დიახ, ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ, რომ ცენტრის იმპერიული სუსხის მიუხედავად, ორ-ორჯერ მოვიპოვეთ სა-კავშირო ჩემპიონობა და თასი, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს, თასისა და სპარტაკიადების ფინალის-ტობასა და წართმეულ ტიტულებს ხომ თვლა არა აქვს, ყველაფრის გვირგვინს



კაპიტან ჩხეიძე, ზესგაფინიანი.

⊙ გივი კარტოზია - 90

სახსლოვანი გულის კავკასიელი

„ბპმრი დიდი მოჭიდავე გაუზრდია სა-ქართველოს. გივი კარტოზია ყველაზე ნა-თელი პიროვნებაა მათ შორის, მაგრამ ახა-ლი ჩემპიონები ავიდნენ კვარცხლბეკზე, ზო-გიერთ მათგანს უფრო მეტი ჯილდოც აქვს, ვიდრე გივის, მაგრამ კარტოზიას დღესაც ნომერ პირველ მოჭიდავეს უწოდებენ. და ასე იქნება მუდამ, სანამ ცოცხალი დარჩება თუნდაც ერთი კაცი, ვისაც იგი ხალიჩაზე უნახავს. კარტოზია ქართული ჭიდაობის

თა მსოფლიოს თამაშებში გაიმარჯვა და ოთხჯერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატე-ბის (1952-1955) კვარცხლბეკის უმაღლეს სა-ფეხურზე ავიდა. საორბის დამსახურებუ-ლი ოსტატი დაჯილდოებული იყო მრავა-ლი ორდენითა და მედლით.

გივი კარტოზია გახლდათ მსოფლიოს პირველი სამგზის ჩემპიონი ქართველთა შორის, მსოფლიო თასის პირველი მფლო-ბელი, პირველი ოლიმპიური ჩემპიონი „კლასიკურ“ ჭი-დაობაში.

1952 წელს გივი კარტოზიამ სსრკ ჩემპიონატი მოიგო და ჰელსინკის ოლიმპიადამდე თავის ნონაში სა-კავშირო ოლიმპი-ური ნაკრების პირველი კანდიდა-ტი გახდა, მაგრამ მწვერულზე მან ინც ვეტერანი არ-ჩიეს. ქართველი ფალავანი ფინურ ორთაბრძოლებს ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს.

ჰელსინკის თამაშების შემდეგ გივი კარ-ტოზია საბჭოთა ნაკრების ლიდერად იქცა და ეს მან საერთაშორისო სარბიელზეც და-ამტკიცა. 1953 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ნეაპოლში გივიმ, „ცეცხლოვანი გულის კავ-კასიელმა“, როგორც მას იტალიელებმა უწოდეს, შეედი ორგზის ოლიმპიური ჩემ-პიონი და 1950 წლის მსოფლიოს ჩემპიონა-ტის (მაშინ მსოფლიოს ჩემპიონატები ორ-სამ წელიწადში ერთხელ ეწყობოდა) გამარ-ჯვებული გრიონბერგი დაამარცხა ნახევარ-ფინალში, გადამწვეტ პაექრობაში 1952 წლის ოლიმპიადის ფინელი ბრინჯაოს მე-დალოსანი კალერვო რაუსხალა გააკრა ბე-ჭებით ხალიჩას და მსოფლიოს ჩემპიონი გახ-და. 1955 წელს გერმანულ კარლსრუჟში მე-ორედ დაიმკვირა მკერდი მსოფლიოს ჩემპი-ონის ოქროს მედლით. ქართველი ფალავანი ერთ დღეს ხუთჯერ გაევიდა ხალიჩაზე და ყველა მეტოქეს აჯობა.

1956 წლის ოლიმპიურ თამაშებამდე, მა-ისის მინურულს, სტამბოლში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა მსოფ-

ლიოს თასი გაითამაშეს. „მიხატ ფაშას“ 25-ათასიანი სტადიონის ტრიბუნები მაყუ-რებლებით გადაიჭნა. პირველ ორ ორ-თაბრძოლაში ჩვენებურმა ლიბანელი რა-მონოსი და შვეიცარიელი ვერნერი დაა-მარცხა და შემდეგ მასინძელთა კერპ ის-მეთ ათლის დაუპირისპირდა. 1953 წლის „კლასიკოსთა“ მსოფლიოს ჩემპიონატზე კარტოზიამ აჯობა თურქს, მაგრამ ისმეთმა რევანში ერთი წლის მერე ტოკიოში გამარ-თულ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატზე აიღო.

და აი, მესამე ორთაბრძოლა. წლების შემდეგ ივან დიმოვიან საუბრისას გივი კარტოზია ასე გაიხსენებს თურქულ ბატა-ლიებს: „ჩემი ყველაზე საშიში მეტოქე იყო თურქი ისმეთ ათლი, მოუქნელი, გრძელ-კლავება, კაჭა, ხალიჩაზე საოცრად სწრა-ფი და თვალშეუკლები. ნეაპოლში იგი მე-სამე წუთზე წავაქციე... სტამბოლში ვჭიდა-ობდით გვიან საღამოს სტადიონზე, რომე-ლიც 25 ათას მაყურებელს იყვებდა. ათლი ნებისყოფიანი მოჭიდავე იყო და უკან და-ხევა არ იცოდა. პირველ წუთზევე ვეძვრეთ ერთმანეთს ისეთი ძალით, რომ დარტყმა ხარს ნააქცივდა... ორივემ გავუძელით. სა-ხედასისლიანებულებს გულები ამოვარდ-ნაზე გვექონდა, მაგრამ ვჭიდაობდით.

რვა ქულა მოვიგე, მეექვსე წუთზე კი ბე-ჭებზე გავაკარი. მსაჯეები აქეთიქით იყურე-ბიან, ისეთი სიტუაცია, თითქოს საცაა უზარ-მაზარი ნაღმი უნდა აფეთქდესო. ათლი ნა-მოდგა, მოვიდა ჩემთან და ხელი ამინა. სტა-დიონმა ყიჟინა დასცა, მაგრამ ეს უკვე ალერ-სის ყიჟინა იყო...“ მომდევნო ორ შესხედრა-ში ქართველი ფალავანი იოლად გაუსწორდა გერმანულ შორსტ პესსა და იუგოსლავიელ სიმისს და მსოფლიო თასი მოიპოვა.

მელბურნის ოლიმპიადამდე გივი კარ-ტოზიამ წინა თამაშების პრიზიორ უნგ-რელ გურრიხს შეიდი ქულა აართვა, ბულ-გარელ დობრევეს, რომელიც ოთხი წლის შემდეგ რომში გახდა ოლიმპიური ჩემპი-ონი, ხუთი ქულით მოუგო და ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. 1958 წლის მსოფლიოს ჩემ-პიონატის (ბუდაპეშტი) მოგების შემდეგ ქართველი ფალავანი აქტიურ სპორტს ჩა-მოშორდა, მაგრამ 1960 წლის რომის ოლიმ-პიადის წინ ისევ დააბრუნეს ხალიჩაზე. იტალიის დედაქალაქში მან მესამე ადგი-ლი დაიკავა და ჭიდაობასაც დაემშვიდობა.

ოლიმპიური ჩემპიონი რომან რურუა ერთგან წერს: „კარტოზია ძალიან კეთილი, მგრძნობიარე ადამიანია. ვინ მოთვლის იმათ, ვისაც დახმარებია გივი. მე ერთ-ე-რი მრავალთაგანი ვარ, ვისაც კარტოზია დაეხმარა, ადგილი ემოვა ცხოვრებაში“.


დიდი ქართველი ფალავანი გივი კარ-ტოზია 1998 წლის 3 აპრილს გარდაიც-ვალა.

კაპიტან დანიელია

⊙ ნაპ

ბობერის რეპორტი

„იუსთა ჯაზის“ ფრანგმა ცენტრმა რუდი გობერმა ნა-ს რეკორდი დაამყა-რა. მან ერთ სეზონ-ში ყველაზე მეტ-ჯერ — 270-ჯერ ჩა-ტენა ბურთი. აღ-ნიშნულ ინფორმა-ციას ESPN-ი ავტ-ცელებს.



ჩა ტ ე ნ ვ ე ბ ი ს სტატისტიკა 2000 წლიდან იწარმოება, აქამდე საუკეთესო — 269 ჩატენვა დუ-აიტ ჰოვარდს ეკუთვნოდა. მიმდინარე სეზონში ჩატენვების რა-ოდენობით მეორე ადგილზე იანის ან-ტეტოკუნმპოა (264), ხოლო მესამე ად-გილზე კლინტ კაპელაა (202).

ვიტალი ჯაფარიძე

⊙ ინტერნეტიდან

სიყვარულის კაფები

სამრ კალათბურთელ მარკო იარიჩის სპორტული კარიერა ია-ვარდით არასოდეს ყოფილა მოფენილი. იგი წლების მანძილზე ცდილობდა ამერიკის საკალათბურთო ასოციაციაში თავისი სიტყვის თქმას, თუმ-ცა, დღეს მრავალი ქომაგი ამბობს, რომ ამ ბიჭს იმაზე აშკარად მეტი შეეძლო, ვიდრე რეალურად მიაღწია.

მიუხედავად ყველაფრისა, ბალკანე-ლი ოკენისგამდამური ბულვარული ჟურ-ნალების ყდებიდან წლებია არ ჩამოდის, რაც შეიძლება ზოგს გაუკვირდეს იმ შემთხვევაში, თუკი არ ეცოდინება, რომ იარიჩი ორი წლის განმავლობაში დიდებული ბრახილიელი მოდელის ადრიანა ლიმას გულისსწორი იყო. ზუს-ტად არავინ იცის, თუ რა-ტომ დაშორდნენ მარკო და ადრიანა ერთ-ერთს, მაგრამ, დისკუსიები და ლაყავი ამ წყვილის გარ-შემო ჯერ კიდევ არ შეწყ-ვეტილა და ბევრი ვარაუ-დობს, რომ სერბულ-ბრა-ზილიური ტრფიალების ძაფები კვლავინდებურად გაბმულია და ვინ იცის — გეგბ მართალიც იყოს...

კოკა კოვანხიძე

ქალმა პირველი მშობიარობიდან 26 დღეში ტყუპები გააჩინა

ბანგლადეშში ქალმა ტყუპები ერთთვიანი დაშორებით გააჩინა. 20 წლის არიფა სულთანამ თებერვლის ბოლოს ბიჭი, ხოლო 26 დღის შემდეგ ტყუპები გააჩინა. ექიმებმა აღმოაჩინეს, რომ პირველი ბავშვის დაბადების შემდეგ, ის კვლავ ინარჩუნებდა ორსულობას, რის გამოც სასწრაფო წესით ჩაუტარეს საკეისრო კვეთა. როგორც ექიმებმა BBC-ის ჟურნალისტს განუცხადეს, განცალკევების პროცედურა წარმატებით დასრულდა და ტყუპების ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

არიფა სულთანა ბანგლადეშის უღარიბესი სოფლიდანაა. ეს მისი პირველი მშობიარობა იყო. თებერვლის ბოლოს, პირველი ბავშვის გაჩენიდან 26 დღეში არიფა სულთანა სხვა საავადმყოფოში, კუჭის საშინელი ტკივილებით მივიდა. ექიმებმა აღმოაჩინეს რომ ქალბატონი ტყუპებზე იმყოფებოდა ფესმძიმედ.




უცნობია, თუ რატომ მიმართა პაციენტმა სხვა საავადმყოფოს, ან რატომ ვერ აღმოაჩინეს ექიმებმა პირველი მშობიარობის დროს კიდევ ორი განვითარებული ნაყოფი. ექიმ შეილა პოდარის განცხადებით, პაციენტს წარმოდგენა არ ჰქონდა, რომ ტყუპებზე იყო ორსულად. მისი განცხადებით, ეს იყო პაციენტისთვის პირველი ულტრაბგერითი კვლევა. 20 წლის პაციენტი და მისი ტყუპები საავადმყოფოდან 25 მარტს გაწერეს. ბავშვებისა და დედის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

უცნობია, თუ რატომ მიმართა პაციენტმა სხვა საავადმყოფოს, ან რატომ ვერ აღმოაჩინეს ექიმებმა პირველი მშობიარობის დროს კიდევ ორი განვითარებული ნაყოფი. ექიმ შეილა პოდარის განცხადებით, პაციენტს წარმოდგენა არ ჰქონდა, რომ ტყუპებზე იყო ორსულად. მისი განცხადებით, ეს იყო პაციენტისთვის პირველი ულტრაბგერითი კვლევა. 20 წლის პაციენტი და მისი ტყუპები საავადმყოფოდან 25 მარტს გაწერეს. ბავშვებისა და დედის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

ამერიკელი ასირიელები, რუსებს მოვარეზა დაჯდომა ღაასრონ

ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის მაიკ პენტის განცხადებით, ამერიკელმა ასტრონავტებმა მთვარეზე დაჯდომა უახლოეს 5 წელიწადში უნდა მოახერხონ.

მისი თქმით, ასეთი დავალება მისცა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა NASA-ს დირექტორს ჯიმ ბრაიდენტსაინს.



2019 წლის ივლისში სრულდება 50 წელი მას შემდეგ, რაც ამერიკელმა ასტრონავტებმა მსოფლიოში პირველებმა დადგეს დედამიწის თანამგზავრზე ფეხი. პენსი მიჩინეს, რომ ამერიკელები მალე უნდა დაბრუნდნენ მთვარეზე. პენსმა განაცხადა, რომ ადრე ეს გაფრენა 2028 წლისთვის იყო დაგეგმილი, მაგრამ მას მიანჩინა, რომ ეს თარიღი „არასაკმარისად კარგია“. შეგახსენებთ, რომ რუსეთი მთვარეზე გაფრენას 2031 წლისთვის გეგმავს.

ინდოეთმა რაკეტით კოსმოსური თანამგზავრი ჩამოაგდო...

ინდოეთმა თანამგზავრის სანინალმდგომ რაკეტა გამოსცა და დაბალ კოსმოსურ ორბიტაზე მყოფი თანამგზავრი ჩამოაგდო. ქვეყნის პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ამ ფაქტის შემდეგ ინდოეთი, აშშ-ის, რუსეთისა და ჩინეთის შემდეგ, მსოფლიოს მეოთხე კოსმოსური ზესახელმწიფო გახდა. თანამგზავრი დედამიწის ზედაპირიდან 300 კილომეტრის მანძილზე იმყოფებოდა.



მოდი აცხადებს, რომ ინდოეთს ამ ქმედებით არანაირი საერთაშორისო ხელშეკრულებები არ დაურღვევია, რაკეტის გამოცდა არავის სანინალმდგომად არ განხორციელებულა, უბრალოდ ქვეყანას შეუძლია ადეკვატურად უპასუხოს ნებისმიერი ქვეყნის მუქარას.



ქალთავების მკარდმოშვებულ ქანდაკებებს ოქროსფერი ტოპი „ჩააცვა“

ინდონეზიის გართობის პარკის ადმინისტრაციამ ქალთავების მკარდმოშვებულ ქანდაკებებს ოქროსფერი ტოპი „ჩააცვა“. მათი განცხადებით, ამგვარად მათ „აღმოსავლური ღირებულებები დაიცვა“.

მკარდმოშვებულ ქანდაკებები ჯაკარტაში მდებარე Ancol Dreamland-ის პარკში 15 წელია, რაც დგას, შესაბამისად, ადმინისტრაციის გადანყვეტილებამ საზოგადოება საგონებელში ჩააგდო. ზოგიერთებმა განაცხადეს, რომ ისინი „გარე, ფუნდამენტალისტური ძალების გავლენის ქვეშ მოექცნენ“. ადმინისტრაცია აცხადებს, რომ ეს ქმედება მათ არავის გავლენის გამო არ გაუკეთებიათ და ქალთავების შემოსვა პარკის საოჯახო პარკად გადაკეთების განზრახვის გამო მოხდა.

მიგრანტებმა ის ბაიტიას, რომელმაც გადაარჩინა

მიგრანტების ჯგუფმა ის ნავთობის ტანკერი გაიტაცა, რომელმაც ისინი ლიბიის სანაპიროსთან გადაარჩინა და ბორტზე აიყვანა. მიგრანტებმა ტანკერის ეკიპაჟს მალტისკენ წასვლა უბრძანეს.

იტალიის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელებმა მიგრანტების ქმედებას „მეკობრეობა“ უწოდა და განაცხადა, რომ გატაცებულ გემს იტალიის ტერიტორიულ წყლებში არ შეუშვებენ.

გატაცებული ტანკერის საკუთარ სახელმწიფო წყლებში შეშვებას არ აპირებს არც მალტის ხელისუფლება. ნავთობის ტანკერი „ელ სიბლუ-1“ ლიბიელი მიგრანტების ჯგუფმა მას შემდეგ გაიტაცა, რაც გაიგეს, რომ ტანკერის ეკიპაჟს ისინი შესაძლოა სამშობლომ დაებრუნებინა. ტანკერზე დაახლოებით 100-მდე მიგრანტი იმყოფება. მალტის ხელისუფლება აცხადებს, რომ ისინი სიტუაციის ნებისმიერი შემობრუნებისთვის მზად არიან.



დახმარების მსურველთა საყურადღებოდ! მოგმართავთ გაზეთის მფრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას. ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS REPUBLIKA

ბ. ჩიქოვასას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიასვილი
 599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
 599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
 514 33-33-24

გამომცემლობა:
 შპს „თანადგომა“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
 ტ: 599 79-76-79
 შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

იბეჭდება გამომცემლობა „**ქოლორ პრესში**“
 რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323
 ISSN 2233-3851

9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შუამთავრობის მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აბეზან ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“
შენი გაზეთია, აუხილებლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!

	უხსოვრი პალატის ქარსი: აუზ ღოღარი - 2.6956; პირი - 3.0412; ბრიტანული მიკროსტრუქტურა - 3.5574 100 რუბლი - 4.1594; თურქული ლირა - 0.4964; ანკარაპირის მანათი - 1.5856; 1000 სომხური დრამი - 5.5351.	აპრილი 29 მარტისთვის აღმოსავლეთი საქართველო: ბაჩი - ლაპი 0, ლაპი +12 შიშანი რაიონები - ლაპი -5, ლაპი +7 დასავლეთი საქართველო: ბაჩი - ლაპი +2, ლაპი +12 შიშანი რაიონები - ლაპი -2, ლაპი +7 თბილისი: ლაპი +3, ლაპი +11	დაავიკავით, მოგმართავთ: ტელ: 299-02-10, 599-79-76-79, 568-82-09-84 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge
--	---	--	--